USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №3
დეკემბერი 1, 2019 - იანვარი 1, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

რატი თინიკაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2019 წლის აგვისტოდან ახორციელებს პროექტს - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, საია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

შეთანხმება საარჩევნო სისტემაზე

2019 წლის 9 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო წინადადება საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ.[1] 27 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა წარდგენილი წინადადება განიხილა და საკანონმდებლო ინიციატივად დაარეგისტრირა.[2]

კანონპროექტი, ძირითადად, ტექნიკურ ცვლილებებს ითვალისწინებს, რომელთაგან უმრავლესობა მისაღებია, თუმცა, საყურადღებოა მუხლი, რომელიც ამომრჩევლის მოსყიდვას ეხება. საარჩევნო კოდექსის მოქმედი რედაქციის თანახმად, ამომრჩევლის მოსყიდვა „აკრძალულია არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან **არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე**“.[3] შემოთავაზებული ვერსიით, ამომრჩევლის მოსყიდვა მხოლოდ **კენჭისყრის დღის ჩათვლით** იკრძალება,[4] რაც ქმნის მოსყიდვის პრაქტიკულ შესაძლებლობას კენჭისყრის დღის დასრულების შემდგომ მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში.

გარდა ამისა, საია უარყოფითად აფასებს კანონპროექტზე მუშაობის პროცესის ფორმალურ მხარეს. ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში საკანონმდებლო ორგანომ დაიწყო საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მომზადება და საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფს შესაბამისი პროექტი წარუდგინა. საიამ მონაწილეობა მიიღო 3 შეხვედრაში, სადაც აღნიშნული დოკუმენტი განიხილებოდა და პროცესის მონაწილეებს საკუთარი რეკომენდაციები წარუდგინა. საბოლოო პროექტი ამ დრომდე ინიცირებული არ არის და ცესკოს საკანონმდებლო წინადადება ჩართული მხარეების მონაწილეობისა და ფართო ფორმატით განხილვის გარეშე შევიდა პარლამენტში.

საია მოუწოდებს საკანონმდებლო ორგანოს, კანონპროექტი განიხილოს საარჩევნო რეფორმაზე

[1] საქართველოს ორგანული კანონის პროექტი საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/237373, განახლებულია: 15.01.2020.

[2] საქართველოს ორგანული კანონის პროექტი საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/19232, განახლებულია: 15.01.2020.

[3] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[4] საქართველოს ორგანული კანონის პროექტი საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/237373, განახლებულია: 15.01.2020.

მომუშავე ჯგუფის ფორმატში, საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების მონაწილეობით.

საპროტესტო აქციები და კონტრაქციები

პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების უარყოფის შემდგომ საზოგადოების პროტესტი, ფაქტობრივად, არ შეწყვეტილა. 14 ნოემბერს დაწყებული საპროტესტო აქციები დეკემბერშიც გაგრძელდა. 2 დეკემბერს მოძრაობა „გაბედეს“ წევრებმა აქცია გამართეს მცხეთაში, მაჟორიტარ დეპუტატ დიმიტრი ხუნდაძის ოფისთან, სადაც მათსა და ხუნდაძის მხარდამჭერებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.[5] მაჟორიტარი დეპუტატის ოფისი მცხეთის მერიის შენობასთან მდებარეობს. იქ იმყოფებოდა მცხეთის მერი გიორგი კაპანაძე და მერიის სხვა თანამშრომლები.[6] აქციაზე 2 მომიტინგე დაშავდა, 7 პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო დააკავეს და გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.[7]

ამავე დღეს თბილისში, „ქართული ოცნების“ ოფისთან, ოპოზიციისა და სამოქალაქო მოძრაობების წარმომადგენელთა აქცია გაიმართა, სადაც მათ მცხეთაში მომხდარი ინციდენტი გააპროტესტეს.[8]აქციის მონაწილეებს მმართველი პარტიის მხარდამჭერები სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. 6 ადამიანი დაშავდა, თუმცა, იმ დროისთვის პოლიციას არავინ დაუკავებია.[9] მომდევნო დღეს, შს სამინისტროს ინფორმაციით, მცხეთაში მიმდინარე საპროტესტო აქციისა და თანმდევი ინციდენტების დროს ადმინისტრაციული წესით ერთი პირი დააკავეს, ორი კი განარიდეს.[10] უწყებაში განმარტეს, რომ სამივე ადამიანი დიმიტრი ხუნდაძის მხარდამჭერი იყო.[11]

3 დეკემბერს კვლავ ჩატარდა აქცია დიმიტრი ხუნდაძის ოფისთან.[12] ამჯერად პროტესტის ამ ფორმას ოპოზიციის წარმომადგენლებმა მიმართეს, სადაც ისინი წინა დღეს მომხდარ ინციდენტს აპროტესტებდნენ.[13] აქციის მიმდინარეობისას კვლავ მოხდა დაპირისპირება.[14]

ოპოზიციისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ გამართული აქციების პარალელურად, 1-ლი დეკემბრიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო კამპანია დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“. აქციები გაიმართა თბილისში,[15] ქუთაისსა[16] და ზუგდიდში.[17]

---

[5] ჩხუბი მცხეთაში, მაჟორიტარ ხუნდაძის ოფისთან აქციაზე, 02.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/410891/, განახლებულია: 15.01.2020.

[6] ხმაურზე ჩამოვიდნენ – მცხეთის მერი ჩხუბის მონაწილე თანამშრომლებზე, 02.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/410913/, განახლებულია: 15.01.2020.

[7] ხუნდაძის ოფისთან მომხდარ ფაქტზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო, 02.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/411048/, განახლებულია: 15.01.2020.

[8] სამოქალაქო აქტივისტები „ქართული ოცნების“ ოფისთან აქციას მართავენ, 02.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/411049/, განახლებულია: 15.01.2020.

[9] „ოცნების“ ოფისთან საპროტესტო აქცია დასრულდა, 02.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/411078/, განახლებულია: 15.01.2020.

[10] შსს: მცხეთაში ხუნდაძის მხარდამჭერი დავაკავეთ, 03.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/411338/, განახლებულია: 15.01.2020.

[11] იქვე.

[12] იქვე.

[13] იქვე.

[14] უდუმაშვილის თქმით, მცხეთის მერიასთან ბოთლი ესროლეს, 03.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/411306/, განახლებულია: 15.01.2020.

[15] აქცია ვერის ბაღში რუსთაველზე პროტესტის წინააღმდეგ, 01.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/410661/, განახლებულია: 15.01.2020.

[16] „ოცნების“ აქტივისტები ქუთაისში ოპოზიციის ლიდერებს დაუპირისპირდნენ, 03.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/411303/, განახლებულია: 15.01.2020.

[17] ზუგდიდი უერთდება დემიშიზაციას – ენმ-ის ოფისს კვერცხები ესროლეს, 03.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/411387/, განახლებულია: 15.01.2020.

ღონისძიებებს არც ამჯერად ჩაუვლია დაპირისპირების გარეშე. ვითარების განმუხტვას პოლიცია, ძირითადად, დაპირისპირებულ მხარეებს შორის კორდონის გაკეთებით ცდილობდა.[18] მიუხედავად ამისა, პოლიციის ამგვარი ქმედება ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო ეფექტიანი და ხშირად დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

6 დეკემბერს ოპოზიციამ აქცია გამართა ქუთაისში, სადაც „ქართული ოცნების" მხარდამჭერებსა და აქციის მონაწილეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.[19] იმ ეტაპისთვის, პოლიციას არავინ დაუკავებია.

9 დეკემბერს დაფუძნდა ორგანიზაცია „შევინარჩუნოთ სიცოცხლე". როგორც ორგანიზაციის წევრებმა განაცხადეს, მისი შექმნის მიზანია პროტესტი ოპოზიციის მონაწილეობით გამართული აქციების მიმართ.[20] 10 დეკემბერს მათ რუსთაველის გამზირზე კარვები გაშალეს.[21]

11 დეკემბერს ფიზიკური დაპირისპირება მოხდა საქართველოს პარლამენტთან – უცნობი პირები თავს დაესხნენ მალხაზ მაჩალიკაშვილს და ოპოზიციის კარავში მყოფ პირებს.[22] მაჩალიკაშვილი დაპირისპირების პროვოცირებაში ადანაშაულებს იმ აქტივისტებს, რომლებმაც ოპოზიციის წინააღმდეგ პარლამენტთან „კარავი" დადგეს. შს სამინისტრომ 2 პირი ადმინისტრაციული წესით დააკავა და გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რომელიც ძალადობას გულისხმობს.[23]

12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტთან ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა კიდევ ერთი საპროტესტო აქცია გამართეს.[24] ამ დღეს პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა სია და ნიკა მელიასთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი იხილებოდა. აქციის მონაწილეთა თქმით, იგეგმებოდა შენობის შესასვლელების პიკეტი და სხდომაზე პარლამენტის წევრთა არშეშვება.[25] აქციის მონაწილეები გზის სავალ ნაწილზეც იმყოფებოდნენ და პოლიციამ დაუმორჩილებლობის მოტივით რამდენიმე მომიტინგე დააკავა.[26]

აღნიშნული პროცესი არსებითად მნიშვნელოვნად აზიანებს პოლიტიკურ/საარჩევნო გარემოს, საფრთხეს უქმნის სტაბილურობას და კიდევ უფრო აღრმავებს არსებულ პოლარიზაციას პოლიტიკურ ძალებს შორის. საიას მიაჩნია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ და თავი შეიკავონ მსგავსი დაპირისპირებებისგან. ხელისუფლებამ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ვითარების განმუხტვისა და საკითხზე კონსტრუქციული მსჯელობის ხელშეწყობის მიზნით. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა იმოქმედონ კანონის განუხრელი დაცვით და არ დაუშვან შერჩევითი მიდგომა აქციის ორგანიზატორთა და მონაწილეთა პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით. საია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ საქართველოს კანონი „შეკრებებისა

[18] ვიდეო: „ოცნების" მხარდამჭერები თათბირობენ, შემდეგ „სირცხვილიას" აქტივისტებს უტევენ. პოლიცია მხოლოდ ბოლო მომენტში ერევა საქმეში, 03.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/411112/, განახლებულია: 15.01.2020.

[19] ქუთაისში აქციის მონაწილეებს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, 06.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/412150/, განახლებულია: 15.01.2020.

[20] ოპოზიციის წინააღმდეგ შექმნილი ორგანიზაციის წევრებმა რუსთაველზე კარავი დადგეს, 10.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/412886/, განახლებულია: 15.01.2020.

[21] იქვე.

[22] პარლამენტის წინ მომხდარ დაპირისპირებაზე შსს-მ გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო, 11.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/413051/, განახლებულია: 15.01.2020.

[23] იქვე.

[24] პარლამენტთან საპროტესტო აქცია მიმდინარეობს [ვიდეო], 12.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/413398/, განახლებულია: 15.01.2020.

[25] იქვე.

[26] პარლამენტთან რამდენიმე მომიტინგე დააკავეს, 12.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/413401/, განახლებულია: 15.01.2020.

და მანიფესტაციების შესახებ“ უზრუნველყოფს პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების განხორციელებას – წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.[27] სახელმწიფო დაწესებულებებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს უფლება არ აქვთ, ხელი შეუშალონ ამ კანონით დადგენილი წესის დაცვით შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებასა და ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას.[28] ასევე, სახელმწიფო ვალდებულია, არ მისცეს სხვა მოქალაქეებს აქციის გამართვაში ხელშეშლის შესაძლებლობა. საიას შეფასებით, ამას ხელისუფლებამ თავი კვლავ ვერ გაართვა და სამართალდამცავმა ორგანოებმა კიდევ ერთხელ ვერ შეძლეს აქციის მონაწილეთა უფლების დაცვა, ღიად და საჯაროდ გამოეხატათ საკუთარი შეხედულებები.

„ქართული ოცნების“ ღონისძიება

6 დეკემბერს „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მასშტაბური აქციის გამართვა დააანონსა. მისი განცხადებით, 14 დეკემბერს გაიმართებოდა ღონისძიება, რომლის მიზანიც იყო ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის კვირეულის საზეიმო შეჯამება.[29] „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო მხარდამჭერების მობილიზება რეგიონებში. პარალელურად მიმდინარე აქციების ფონზე, მმართველი პარტიის მიერ ფართომასშტაბიანი ღონისძიების ორგანიზება ძალის დემონსტრირების შთაბეჭდილებას ქმნიდა.

13 დეკემბერს გავრცელდა არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, რომლის თანახმადაც, ამ ღონისძიებაზე დასასწრებად საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მმართველი პარტიის მიერ მოქალაქეთა ორგანიზება შეინიშნებოდა, რასაც კოორდინაციას, ძირითადად, პარტიული ოფისები უწევდნენ.[30] არასამთავრობოების განცხადებით, „რამდენიმე მუნიციპალიტეტში, პარტიის კოორდინატორების გარდა, მოქალაქეთა მობილიზებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მერების წარმომადგენლები სოფლებში და საკრებულოს დეპუტატები.“[31] „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დადიოდნენ მოსახლეობაში, საჯარო სკოლებში, საბავშვო ბაღებში და საჯარო სკოლის მასწავლებლებს, ბაღის თანამშრომლებს, ა(ა)იპ-ებისა და სსიპ-ების თანამშრომლებს მოუწოდებდნენ, წასულიყვნენ ხელისუფლების მიერ დაგეგმილ აქცია-ღონისძიებაზე. ზოგ შემთხვევაში აქციაზე წასვლისკენ მოწოდებას დავალების, ზოგ შემთხვევაში კი – თხოვნის შინაარსი ჰქონდა. ასევე, რამდენიმე მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს დაავალეს აქციაზე წამსვლელი 10 ან 20 კაციანი სიების წარმოდგენა სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით.“[32]

გარდა ამისა, სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ რეგიონებში საჯარო დაწესებულებებში მომუშავე ადამიანების მიმართ ადგილი ჰქონდა სავარაუდო პირდაპირ ან ირიბ ზეწოლასა და იძულებას 2019 წლის 14 დეკემბერს თბილისში დაგეგმილ აქციაში მონაწილეობის მისაღებად.[33]მოქალაქეების განცხადებით, უარის შემთხვევაში ხელმძღვანელი პირები სამუშაო ადგილებზე

[27] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[28] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი, მე-12 მუხლი.

[29] 14 დეკემბერს „ქართული ოცნება” აქციას გამართავს, 06.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/412104/, განახლებულია: 15.01.2020.

[30] 14 დეკემბერს „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილი აქციისთვის მოქალაქეთა მობილიზება მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებზე ზეწოლის ფონზე მიმდინარეობს, 13.12.2019, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/14-dekembers-qartuli-otsnebis-mier-dagegmili-aqtsiistvis-moqalaqeta-mobilizeba-munitsipalitetebis-sadjaro-mokheleebze-zetsolis-fonze-mimdinareobs, განახლებულია 15.01.2020.

[31] იქვე.

[32] იქვე.

[33] 14 დეკემბრის აქციის წინ რეგიონებში სავარაუდო ზეწოლის ფაქტებზე ომბუდსმენიც საუბრობს, 13.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/414063/, განახლებულია: 15.01.2020.

სამომავლოდ პრობლემების შექმნაზე მიანიშნებდნენ.[34]

საია დეკემბრის განმავლობაში მართავდა შეხვედრებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან თბილისსა და რეგიონებში. ამ შეხვედრებზე, საიას პოლიტიკური პარტიების ადგილობრივმა წარმომადგენლებმაც მიაწოდეს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებში მომუშავე ადამიანების მიმართ ზეწოლის ფაქტების შესახებ, რაც 14 დეკემბრის ღონისძიებაში მონაწილეობის იძულებას უკავშირდებოდა.

საიას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ქმედებები დამატებით შესწავლას მოითხოვს, რადგან მათში, შესაძლოა, იკვეთებოდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, მსგავსი ფაქტების პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები.

ნიკანორ მელიასთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტა

2 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს პარლამენტის წევრ ნიკა მელიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის „ქართუ ბანკის“ ხელოვნურად გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით.[35] მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 25 000 ლარის ოდენობის ჯარიმა, ამასთან, 3 წლის ვადით შეეზღუდა თანამდებობის დაკავების უფლება, რაც ამნისტიით 2 წელსა და სამ თვემდე შემცირდა.[36] აღნიშნული განაჩენის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყვიტა.[37]

2019 წლის 23 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა ნიკა მელიას კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც გასაჩივრებულია 2019 წლის 12 დეკემბრის დადგენილება მისთვის დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.[38] ნიკა მელიას ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში მის ადვოკატთან ერთად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტები დაიცავენ. სასარჩელო მოთხოვნაა დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობა და დეპუტატის უფლებამოსილების აღდგენა.

პარლამენტმა ნიკა მელიასთვის უფლებამოსილების შეწყვეტის არგუმენტად კონსტიტუციის ნორმა მიუთითა, რომლის მიხედვითაც, „პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი: **კანონიერ ძალაში შესული** სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ.“[39] საიას მიაჩნია, რომ საკანონმდებლო ორგანომ კონსტიტუცია არასწორად განმარტა. იმ პირობებში, როდესაც არსებობს თბილისის სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოების მიერ ნიკა მელიას მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმების და პირის გამართლების შესაძლებლობა, პარლამენტს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, კონსტიტუციური მიზნებისთვის, არ უნდა მიეჩნია **კანონიერ ძალაში შესულად**.

---

[34] იქვე.

[35] ჯარიმა და 2 წელი და სამი თვე თანამდებობის დაკავების შეზღუდვა – განაჩენი მელიას „ქართუ ბანკის” საქმეზე, 02.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/410699/, განახლებულია: 15.01.2020.

[36] იქვე..

[37] მელიას დეპუტატის მანდატი შეუწყვიტეს, 12.12.2019, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/413651/, განახლებულია: 15.01.2020.

[38] ნიკა მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა, 24.12.2019, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/nika-meliasatvis-parlamentis-tsevris-uflebamosilebis-vadaze-adre-shetsyveta-sakonstitucio-sasamart-loshi-gasachivrda#sthash.TK2xXq7T.dpbs, განახლებულია: 15.01.2020.

[39] საქართველოს კონსტიტუცია, 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.